საქართველოს მთავრობის განკარგულება

N 5 2019 წლის 16 იანვარი ქ. თბილისი

2019 წლის 21-23 იანვარს საქართველოს პრეზიდენტის ბელგიის სამეფოში სამუშაო ვიზიტთან დაკავშირებულ წინადადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს კონსტიტუციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 7^4 მუხლის შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტს მიეცეს თანხმობა ევროკავშირსა და ნატოსთან საქართველოს ურთიერთობის გაღრმავების მიზნით, 2019 წლის 21-23 იანვარს ბელგიის სამეფოში, ქალაქ ბრიუსელში სამუშაო ვიზიტთან დაკავშირებულ 2019 წლის 16 იანვრის №311 წერილით წარმოდგენილ წინადადებაზე.

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**